

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი #12

ქ. ონი

20. 11. 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 11 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვანო ბალაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგუშაშვილი, გელა მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, გოჩა მეტრეველი.

არ ესწრებოდა: ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე მერაბ ორდინიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი კობა მეტრეველი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ირმა მაისურაძე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის დეპუტატებისათვის გაცნობის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

3. „ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის # 39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების

უფროსი სპეციალისტი/

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ (ს/კ 437977469/ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების
უფროსი სპეციალისტი/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხს. ვ. ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს 1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის დეპუტატებისათვის გაცნობის შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერიის პირველი მოადგილე/

ვ. მეტრეველის მოთხოვნის შესაბამისად მომხსენებელმა, მ. ორდინიძემ, პუნქტობრივად გააცნო ბიუროს წევრებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი. აზრი გამოთქვეს: ა. კერვალიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტში საერთოდ არ არის საუბარი სოფ. სორზე, სადაც საჭიროა სანიაღვრე არხების კაპიტალური მშენებლობა, გარე განათების დასრულება, მეტრეველების უბანში შიდა საუბნო გზის აღდგენა. ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაიდგას ნაბიჯი სასმელი წყლის სისტემების მომსახურების თვალსაზრისით. ვ. მეტრეველის თქმით, არცერთ სოფელში არ არის სასმელი წყლის სისტემის მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი. მხოლოდ სოფ. ხიდემლების მოსახლეობამ გამოთქვა მადლიერება სასმელ წყალთან დაკავშირებით, ყველა სხვა სოფელში მოსახლეობა უკმაყოფილოა, ფული დახარჯულია, თუმცა სოფლებს სასმელი წყალი არ მიეწოდება. საჭიროა წყალმომარაგების სისტემების კარგი აღრიცხვა და შეფასება. არცერთი წყალსადენი არაა თუ ხარსხს, არანაირ სტანდარტს არ აკმაყოფილებს. აუცილებელია ამ მიმართულებით გარკვეული ქმედითი ღონისძიებების გატარება. ასევე ყურადსაღებია სოფლებში გარე განათების საკითხი. 2018 წელს ეს პრობლემა ყველგან უნდა მოგვარებულიყო, თუმცა ბევრ სოფელში კვლავ პრობლემად რჩება და

მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ს. გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში ბევრი სოფელი საერთოდ არაა ნახსენები და არც ამ სოფლების მოსახლეობის პრიორიტეტებია გათვალისწინებული. ბიუჯეტიდან თანხები ყველა სოფელზე თანაბრად, მიზანმიმართულად უნდა გადანაწილდეს და აუცილებლად ყველა სოფელს უნდა მოიცავდეს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: ბიუჯეტის პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გასაცნობად.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მერაბ ორდინიძე მერის პირველი მოადგილე/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 3. „ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის # 39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების

უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის # 39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 4. არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ (ს/კ 437977469/ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების

უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის“ (ს/კ 437977469/ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხს. ვ. ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო სსიპ ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე